

ბასა ჯანიკაშვილი

ომოზანა

პიესა

მოქმედი პირნი:

ვერა კეკელიძე - ცოლი

გურამ დარჩია - ქმარი

გივიკო – მათი შვილი

ნიკიფოროვი ანატოლი გიორგიევიჩი - პირველი მფრინავი

ასიმენკო დიმიტრი იურევიჩი - მეორე მფრინავი

სურკატოვი ბორის ივანოვიჩი, იგივე ბორია - მესამე მფრინავი

იზმაილოვი ზემუტ ტუმეზოვიჩი - მეოთხე მფრინავი

სიმაკი ნიკოლაი ფიოდოროვიჩი - მესუთე მფრინავი

პატარა დაბა. სცენაზე რამდენიმე კოტეჯი, ერთი ხის მაგიდა და ხე დგას. ერთ-ერთ ხეზე ბავშვია ამძვრალი და ცაში იყურება. ხის ძირში გივიკოს დედა - ვერა კეკელიძე დგას.

ვერა - გივიკო, ჩამოდი ხედან!

გივიკო - არ ჩამოვალ, ვპატრულობ.

ვერა - გივიკო, გვიანია უკვე!

გივიკო - აბა, რუსები რო გვბომბავენ?

ვერა - მერე, შენი გირჩებით რას უშველი?

(გივიკო პასუხს არ სცემს)

- გივიკო, წამოდი, ტუალეტი სანამ თავისუფალია, მოვითავოთ.

(გივიკო პასუხს არ სცემს)

- მერე, ხო იცი, რომ დაკავებული იქნება სულ?

გივიკო - ეხლაც დაკავებულია.

ვერა - გურამ, მოდი რა, მიხედუ შენ შეიღს! ნახე, სად აძვრა. უთხარი ჩამოვიდეს.

მე ამის ნერვები არ მაქვს *(შინ შედის)*

გურამი - *(გამოდის კოტეჯიდან)* რას აკეთებ?

გივიკო - ვპატრულობ.

გურამი - პატრულირებ... მაგის თქმა გინდა?

გივიკო - ჰო, ვპატრულობ.

გურამი - მერე, გივიკო, გახსოვს მე და შენ რომ გვიყვარს სიმღერა, ჯონ ლენონი რომ მღერის, All We Need Is Love. გახსოვთ, ამასწინათ რომ ვუსმენდით?

გივიკო - All We need რაა?

გურამი - *(ღიღინით)* All We Need Is Love მამა. გახსოვს? გაგახსენდა?

გივიკო - ა-ა, კი გამახსენდა. ძაან მომწონს.

გურამი - მერე? არ გახსოვს, რაზეა ეს სიმღერა?

გივიკო - რაზეა?

გურამი - ჰო მოგიყევი? ეს სიმღერა სიყვარულზეა, მეგობრობაზეა, თანადგომაზეა.

იქ არის ასეთი სიტყვები, რომ თუ გვინდა რომ მშვიდობა იყოს, მაშინ უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი. უფრო სწორად, უფრო მეტი სიყვარული გვჭირდება, რომ მშვიდობა იყოს.

გივიკო - კარგი.

გურამი - რა კარგი? ჩამოდი ეხლა!

გივიკო - არ ჩამოვალ. რუსები გვბომბავენ და მე კიდევ უნდა ჩამოვადლო.

(ისმის თვითმფრინავის ხმა, რომელიც გადაიფრენს. გივიკო შურდულს ესვრის)
გურამი – *(ნერვიულად)* მამიკო, ჩამოდი, თორე ჩამოაგდებს ყუმბარას და
წაგვლეკავს მთლიანად.

ვერა – *(თვითმფრინავის ხმაურზე კოტეჯიდან გამორბის)* გივიკო, ჩამოდი ეხლავე!

გივიკო – აბა, ისინი რატო გვბომბავენ?

გურამი – იმიტო, რომ სიყვარული არა აქვთ.

(თვითმფრინავის ხმა კვლავ ახლოვდება)

ვერა – ჩამოდი ეხლა, არ ამომიყვანო მანდ!

გურამი – კიდევ მოდის.

გივიკო – არა, ვპატრულობ. *(შურდულს უმიზნებს და თვითმფრინავს ესვრის. ისმის აფეთქების ხმა, ვერა და გურამი ძირს წვებიან. გივიკო ხედან ვარდება.)*

შეშინებულია და ისიც მშობლებთან ერთად ძირს წვება)

ვერა – *(გივიკოს გულში იკრავს)* მოდი ჩემთან.

გურამი – ცოცხლები ხართ?

გივიკო – ხედავ, რო გეუბნებოდი? ჩამოვაგდე.

(ციდან აფეთქებული თვითმფრინავის მფრინავი ვარდება)

პირველი მფრინავი – Ой...

გივიკო – *(შურდულს კიდევ ერთხელ ესვრის)* ჩამოვაგდე, ჩამოვაგდე!

პირველი მფრინავი – Ой, мамочки, больно...

გურამი – რა ქენი, მამა?!

ვერა – *(მოულოდნელად ჯიბიდან კოლტ H 1889 იღებს)* Стоять! Не с место!

გურამი – რას აკეთებ?

ვერა – ტყვე ამყავს!

გივიკო – ტყვე ავიყვანეთ, ტყვე ავიყვანეთ!

პირველი მფრინავი – Что случилось?

გურამი – საიდან გაქვს ეს პისტოლეტი?

ვერა – კოლტია. ეი 18 89.

გივიკო – დედა, მე კიდევ ჩამოვაგდე, შენ ეს არ გაუშვა!

გურამი – არ გინდა! აღარ ჩამოაგდო, ესეც გვეყოფა. *(ნერვიულად კოტეჯში შერბის)*

ვერა – წად წახვედი?

გურამი – *(კიდევ უფრო ნერვიულად შინიდან ეზოში გამორბის)* ვისია ეს კოლტი?

(ვერა ძირს დაგდებულ მფრინავს ათვალიერებს. პასუხს არ სცემს)

გივიკო – Почему ты бомбил нас?

(გურამი კვლავ კოტეჯში შერბის)

პირველი მფრინავი – Ой, как больно, вот здесь болит! *(ფეხზე მიუთითებს)* Помогите!

ვერა – აი, ხედავ, რომ გეუბნებოდი, რუსული იმეცადინეთქო, ხედავ როგორ გამოგადგა?

გურამი – *(სახლიდან გამორბის, ხელში დიდი პურის საჭრელი დანა უჭირავს)* აი, ეს ვიპოვე მარტო.

ვერა – *(მფრინავს პისტოლეტს შუბლზე მიადებს)* Говори, сука, почему ты нас бомбил!

პირველი მფრინავი – Ой, не убивайте, прошу вас!

ვერა – Говори, а то зарежу!

გივიკო – Зарежу, зарежу!

გურამი – რას აკეთებთ, სულ გაგიჟდით? ტყვედ აიყვანეთ და უნდა მოკლათ?

პირველი მფრინავი – Нет, нет, нет! Ар мокла, ар мокла!

გივიკო – ქართულად არ ილაპარაკოთ, ყველაფერი ესმის. *(მიწიდან კენჭებს აგროვებს და კვლავ ხეზე ძვრება)*

ვერა – ქართველი ხარ და საქართველოს ბომბავ? ოხ შენი..! *(მუცელში წიხლს უთავაზებს)*

პირველი მფრინავი – Нет, с пленными так не обращаются! Это не положено – с пленными так поступать!

ვერა – А что ты с нами так поступаешь, это положено? ვერ ხედავ, мальчик на дереве сидит и не может заснуть. А вы тут нас громить хотите, всех убивать! *(კიდევ ერთ წიხლს უთავაზებს)* Моего сына убивать, моего мужа убивать, и меня оставить в живых ты хочешь? Я вас знаю, по телевизору видела, вы каретные бомбы бросаете.

გივიკო – *(ხედან)* Касетные бомбы.

გურამი – რას შვები, არ დამღუპო იცოდეს, არ მოკლა ეს კაცი.

პირველი მფრინავი – Ар мокла, ар мокла! Я ваш пленный, я не преступник!

ვერა – Тогда отвечай, почему войну начал?

პირველი მფრინავი – Я не начинал, я в Смоленске живу, меня в армию призвали, я войну не начинал.

გივიკო – *(ხედან)* არ დაიჯერო დედა, იტყუება ეს ბოზი!

გურამი – ჩუ! რა სიტყვებია!

ვერა – Тогда ты же знал, что здесь мирное население отдыхает! Здесь дачи, здесь посёлок.

გურამი – Здесь мы отдыхаем, на две недели приехали и сразу началась война. Как мы могли отдохнуть? Не как.

პირველი მფრინავი – Я не знал, у нас старые картотеки. Здесь у меня обозначено – штаб.

ვერა – აი, ამაშია საქმე! Посмотри на нас, мы работаем в штабу? Говори!

პირველი მფრინავი – Нет, это не штаб, очевидно не штаб.

გივიკო – *(ხედავს)* Тогда почему нас бомбить хотел?

პირველი მფრინავი – Это кто говорит со мной?

ვერა – *(პისტოლეტს შუბლზე მიაღებს)* Птичка. Отвечай ребенку, когда спрашивает!

გურამი – ნელა მაინც მიაღე ეგ პისტოლეტი, შემთხვევით თითი არ გამოგეკრას.

ვერა – შემთხვევით კი არა, ძალით ვესვრი.

გურამი – ვერა! არ ქნა, არ მომჭრა თავი.

ვერა – შენ კი არა, ამას უნდა მოვჭრა თავი.

პირველი მფრინავი – Ар мочра тави... Гамарджоба.

(კიდევ ერთი თვითმფრინავის ხმა ახლოვდება)

- Это наши.

ვერა – Ааа, значит ещё есть такие, что наши гибели хотят? *(ჩახმახს შეაყენებს)*

გივიკო – ნუ გეშინია დედა, მე ჩამოვაგდებ. *(შურდულს თვითმფრინავს უმიზნებს)*

პირველი მფრინავი – Возьмите меня в плен. За это вас могут наградить.

გურამი – Наградить...Кто за русского пленного копейку даст?

(თვითმფრინავმა შორიახლოს ეუმბარა ჩამოავდო. ყველანი ძირს წვეებიან

გივიკოს და პირველი მფრინავის გარდა. გივიკო იმიტომ, რომ ხეზეა

ამხვრადი, პირველი მფრინავი იმიტომ, რომ ისედაც მიწაზე წევს)

ვერა – Нужно его казнить, причём публично.

პირველი მფრინავი – Убьёте и убиты будете. Казните и казнимы будете.

გურამი – იქნებ, მართლა ტყვედ ავიყვანოთ და ჩავაბაროთ.

ვერა – მერე?

გურამი – მერე? მერე შინ დაგბრუნდეთ და იმედია ეს ომიც დამთავრდება.

პირველი მფრინავი – Я хороший человек, поверьте. Я искусство люблю, живопись. После армии на пенсию вышел. Началась эта война и они меня опять призвали. Я на выставки хожу, очень люблю живопись XVIII века. И у меня дочка и жена, мать больная. Не убивайте, они меня ждут!

გივიკო – *(ხედავს)* მოდის, მოდის, ესლა უყურეთ ამას რას უზამს ქართული არტილერია.

ვერა – *(შვილს ეურადღებას არ აქცევს. პირველ მფრინავს აჯავრებს)* они меня ждут! Если ждут, რა გინდოდა აქ? რატო გვბომბავდი?

(თვითმფრინავის ხმა ახლოვდება. გივიკო თვითმფრინავს შურდულს ესვრის. ისმის აფეთქების ხმა. ყველანი ძირს წვეებიან. რა თქმა უნდა, გივიკოს და პირველი

მფრინავის გარდა)

გივიკო – *(ხედან)* არიის!

გურამი – *(ხმაურის შემდეგ)* რა ქენი მამიკო?

ვერა – კიდევ ჩამოაგდე ბიჭო თვითმფრინავი?

(მეორე მფრინავი ციდან ვარდება)

მეორე მფრინავი – *(ტკივილისგან იმანჭება)* Мамочкии...

ვერა – *(მეორე მფრინავს)* Руки вверх!

მეორე მფრინავი – Кто вы, что вам нужно?

გურამი – ამას რაღა ვუყოთ?

ვერა – Казнить их всех на хуй!

პირველი მფრინავი – Пощадите, не казните!

მეორე მფრინავი – Не надо, меня дети ждут, не оставляйте сиротами!

ვერა – Молчать!

გურამი – ვისია ეს პისტოლეტი, აღარ იტყვი?

გივიკო – *(ხედან)* დედი, მიდი შენ არ ინერვიულო, მე კიდევ ჩამოვაგდე.

ვერა – Руки вверх, რა ვთქვი მე?

(მფრინავები ემორჩილებიან)

- Встать!

(მფრინავები დგებიან)

- Звание!

პირველი მფრინავი – Подполковник Никифоров А.Г.

მეორე მფრინავი – Подполковник Асименко Д.Ю.

ვერა – Встать на колени!

(მფრინავები ემორჩილებიან)

გივიკო – დედი, მოდის კიდევ. მოდიის...

გურამი – ველარ გავიგე, ჩამოვიყვანო ეს ბავშვი, თუ მეც ხეზე ავიდე?

ვერა – რას ფიქრობდით, когда ходили нас бомбить? ჩვენ რა, не люди, თუ საქონელ

мы? ჩვენ რა, нет дома თუ детей нет?

გივიკო – *(ხედან)* დედი, რო მეუბნები რუსული ისწავლეო. შენ გესწავლა.

ვერა – *(გივიკოს)* Разговорчики!

პირველი მფრინავი – Пощадите, Вера Юрьевна!

მეორე მფრინავი – Пощадите, мы же свои!

გურამი – საიდან იციან მამაშენის სახელი?

გივიკო – *(ხედან)* მოდიის... *(თვითმფრინავის ხმა ახლოვდება. გივიკო შურდულს მოიმარჯვებს და თვითმფრინავს ესვრის)*

გურამი – არ ქნა, არ ქნა!

(ისმის აფეთქების ხმა. გივიკოს გარდა ყველანი კვლავ მიწაზე დაეცემიან)

გივიკო – *(ხედან)* არიის!..

(ციდან ვარდება მესამე მფრინავი)

მესამე მფრინავი – *(დგება, ტანსაცმელს დაიფერთხავს. ხმაურის შემდეგ)* Меня

зовут Суркатов Б.И., подполковник я. Зовите меня просто Боря. Вера Юрьевна, вы с этим пистолетом очаровательны!

ვერა – Ой, спасибо.

გურამი – Руки вверх, солдат! გივიკო, აღარ ჩამოაგდო მეტი, თორემ შენც დაგაპატიმრებ იცოდე!

მესამე მფრინავი – Вера Юрьевна, прошу вас отпустить моих друзей.

ვერა – Что вы говорите?

მესამე მფრინავი – Или сдать нас в плен, а то некрасиво получится. Пали от рук грузинки! Некрасиво будет.

მეორე მფრინავი – Конечно, Вера Юрьевна, что скажут люди!

პირველი მფრინავი – Дома нас не так поймут.

ვერა – Руки вверх! И хватит болтать! Я сейчас всех расстреляю! Бессовестные такие! Что вы за люди? Как можно нас бомбить? Мы же мирные жители, мы на даче, отдыхаем, а вы все хотите нас погубить. Вот, мой муж, и он вам скажет!

გურამი – Конечно, мы отдыхаем. Целый год мы работали, чтобы отдохнуть в этом проклятом месте. Вы думаете, что мы скупые люди, да? Вы думаете, что как можно здесь отдыхать? Здесь элементарно туалета нет, чтобы спокойно посидеть и поразмыслить.

მესამე მფრინავი – Мы же не знали.

გურამი – Туалета нет на даче. Вот там туалет, видите? И там все жители этого посёлка ходят. И у нас график: когда можно ходить и когда нет.

მეორე მფრინავი – Не судите нас строго! Это мы не со зла.

გურამი – Не со зла! Целый год мы работаем, чтобы скопить немного денег и машину купить. И на море не ходим, и в горы тоже не ходим, только на даче, где кроме нас такие же скупые люди отдыхают, чтобы ходить в туалет три раза в день. А зато у нас будет машина.

ვერა – გურამ!

გურამი – И когда купим эту проклятую машину, на следующий год тоже здесь будем отдыхать, потому что потом нужно в квартире ремонт сделать и этого мальчика в платную школу пустить. И жене нужно, чтоб по хозяйству закупить новую мебель, и нужно денег копить, и отдыхать здесь, и ходить по очереди в туалет, и думать, чтоб никто не ворвался, потому что у туалета, где ходят сто человек, нету дверей.

პირველი მფრინავი – Я в детстве отдыхал в Кечхоби, там были двери.

გურამი – Кечхоби! Чем это место не лучше? Свежий воздух, дачи прекрасные, поля, горы, озёра здесь недалеко. Днём прохладно, а ночью холодно, и это летом! И всё почти даром, зато будет у нас новая машина, ремонт и мебель, и стиральная машина, и мой сын хорошее образование получит, и будем ходить в туалет летом все вместе. А вы хотели всё это погубить и все наши планы к черту послать. Расстреляй их, Вера!

ვერა – *(პისტოლეტს უმიზნებს)* პირველი რომელი მოგვკლავ?

გურამი – რომელიც გინდა.

ვერა – მოდი, პირველს იმას ვესვრი, რომელიც პირველი ჩამოვარდა.

გურამი – სულ ერთია. *(ბოლთას ცემს)*

ვერა – А нука безбожники, прочтите молитву!

პირველი მფრინავი – Пошадите...

მეორე მფრინავი – Мы не виноваты...

პირველი მფრინავი – Приказ у нас был...

მეორე მფრინავი – Мы же не знали, что у вашего туалета нету дверей?

მესამე მფრინავი – А можно перед смертью последнее желание?

ვერა – რა ვუყოთ?

გურამი – რა ვიცო.

გივიკო – *(ხედავს)* მე ვიცო. წიგნში წავიკითხე, რომ სიკვდილის წინ ბოლო სურვილს უსრულებენ ხოლმე.

ვერა – სად წავიკითხე შვილო?

გურამი – რა წიგნებს აკითხებ ვერა ბავშვს?

ვერა – რა ვიცო, სულ თვითონ ეძებს წასაკითხს. რა წავიკითხე გივიკო?

გივიკო – *(ხედავს)* „დანაშაული და სასჯელი“.

ვერა – Какое желание?

მესამე მფრინავი – А у вас случайно нету никви?

ვერა – Что?

მესამე მფრინავი – Никви, грибы у вас такие.

პირველი მფრინავი – Ой, я тоже знаю никви. Ой, знаю,знаю.